ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №6180074

ნომერი: AR1929164

თარიღი : 18.10.2022

გაცემის თარიღი : 26.10.2022

გაცნობის თარიღი : 26.10.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N 103;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბი კობერიძე პ/ნ 35001008630
- თბილისი. პიკასოს7 #15

ორგანიზაცია:
- შპს ზე კუბი დეველოპმენტი კოდი: 405546084

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის №4718579 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 18 ოქტომბერს №AR1929164 განაცხადებით მომართა ზურაბი კობერიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის №4718579 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 5 ივნისის №4531143 ბრძანებით შეთანხმდა №72.16.23.871 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის №4718579 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა დონალდ ვეინ პიტტსერი (დაბ. 27/06/1968, C/N: 530952104).

სამსახურის 2021 წლის 19 თებერვლის №5288790 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის №4718579 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 19 თებერვლიდან 2026 წლის 19 თებერვლის ჩათვლით.

სამსახურის 2022 წლის 18 ივლისის №6040280 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის №4718579 ბრძანებაში და დამკვეთად დონალდ ვეინ პიტტსერის (დაბ. 27/06/1968, C/N: 530952104) ნაცვლად დაფიქსირდა ზურაბ ერქომაიშვილი (პ/ნ: 33001017069).

წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის №4718579 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის - ზურაბ ერქომაიშვილის (პ/ნ: 33001017069) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი - მესაკუთრის შპს „ზე კუბი დეველოპმენტ“-ის (ს/ნ: 405546084) დაფიქსირება.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882022721961, მომზადების თარიღი: 10/10/2022 წ.) თანახმად №72.16.23.871 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „ზე კუბი დეველოპმენტ“ (ს/ნ: 405546084).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22125346; მომზადების თარიღი: 05/10/2022 წ.) შპს „ზე კუბი დეველოპმენტ“-ის (ს/ნ: 405546084) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ზაზა ტურაშვილი (პ/ნ: 01001011125). სამსახურში წარმოდგენილია შპს „ზე კუბი დეველოპმენტ“-ის (ს/ნ: 405546084) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირის ზაზა ტურაშვილის (პ/ნ: 01001011125) მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 221446396, რეგისტრაციის თარიღი: 24.10.2022 წ.). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო, მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №72.16.23.871 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ზე კუბი დეველოპმენტ“ (ს/ნ: 405546084), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელიც სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2019 წლის 21 ოქტომბრის №4718579 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „ზე კუბი დეველოპმენტ“-ის (ს/ნ: 405546084) დაფიქსირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის №4718579 ბრძანებაში და დამკვეთად ზურაბ ერქომაიშვილის (პ/ნ: 33001017069) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ზე კუბი დეველოპმენტ“ (ს/ნ: 405546084).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის №4718579 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 ოქტომბრის №4718579 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.